ერეკლე მეორე - 300
თელავის თეატრი
-1760-
თელავის თეატრი – 260

ავტორ-შემდგენლები: პაატა გულიაშვილი, ლაშა ჩხარტიშვილი
დიზაინერ-დამკაბადონებელი: ეკატერინე ოქროპირიძე

იბეჭდება თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის
პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მიერ

© თელავის თეატრი
© Telavi Theatre

© თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრი
© Modern Georgian Theatre Research Center

თბილისი, 2020
Tbilisi, 2020

ISBN 978-9941-8-2727-3

თელავის თეატრი - 260

თელავის თეატრი თავისი დრამატული წარსულით და მდიდარი ისტორიით ყველაზე ძველი თეატრია კავკასიაში. მისი ისტორია, ჩვენამდე მოღწეულ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, XVIII საუკუნის II ნახევარში იღებს სათავეს.

XVIII საუკუნეში თელავი, მეფე ერეკლე მეორეს წყალობით, საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-სოციალური, ეკონომიკური, საგანმანათლებლო და კულტურული ცენტრი გახდა. სწორედ მისი მეფობის პერიოდს უკავშირდება თელავში პირველი პროფესიული წარმოდგენების გამართვა. 1761 წელს, ერეკლე მეფის მიერ დაარსებულ სემინარიაში პირველად წარმოუდგენიათ სპექტაკლი. ეს თარიღი კი უნდა მივიჩნიოთ თელავში პირველი პროფესიული წარმოდგენის გამართვის თარიღად.

1761 წლიდან პროცესი შეუქცევადი გახდა და სათეატრო ცხოვრებამ თელავში უფრო მრავალფეროვანი სახე მიიღო. ამ პერიოდში დაიდგა შემდეგი ორიგინალური ქართული პიესები: „ხოტბა ერეკლე მეორისა“, „გიორგი III“ . თავად დავით მესხიშვილის მისტერია „უსელი“, „გასაუბრება მოხუცი და ახალგაზრდა მწიგნობარისა“ და სხვა. ამ პიესების ჩამონათვალი გვხვდება როგორც ქართულ წერილობით წყაროებში, ისე უცხოურშიც (რუსულშიც).

XVIII საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს და 90-იანი წლების დასაწყისში თელავში, ერთმანეთის პარალელურად, უკვე არსებობდა გიორგი ავალიშვილის „წარჩინებულთა“ და გაბრიელ მაიორის თეატრები, „მსახიობთა უფროსის“ დავით მაჩაბლის დასი, რომელიც წარმოდგენებს მეფის სასახლეში მართავდა. ამ პროცესმა ხელი შეუწყო ეროვნული კლასიცისტური დრამატურგიის ჩამოყალიბებას.

1795 წელს, აღა-მაჰმად ხანის შემოსევისას, დავით მაჩაბელი იარაღასხმული გმირულად დაიღუპა თანამებრძოლებთან ერთად კრწანისის ბრძოლაში. „ზედ დააკვდა თავის ზარბაზანსა“ გაბრიელ მაიორიც.

1795 წელს, „კრწანისის ტრაგედიით, დასრულდა პირველი ქართული პროფესიული თეატრის ისტორია“ - ასე აფასებს ერეკლე მეფის ეპოქის თეატრს თეატრმცოდნე ვასილ კიკნაძე წიგნში „ქართული დრამატული თეატრის ისტორია“. თელავში სათეატრო პროცესის აღდგენა კრწანისის ომიდან 55 წლისთავზე გახდა შესაძლებელი, მას შემდეგ, თელავის თეატრს მოღვაწეობა არ შეუწყვეტია.

The Telavi Theater with its legacy, dramatic past and rich history is the most ancient theater centers in the Caucasus Region. Among the permanent professional theaters in the Caucasus Region and of course in Georgia, it is the oldest one that dates back the second half of the XVIII century, based on references in ancient sources.

In the XVIII century, Telavi became one of the most important political, social, economic, educational and cultural centers in Georgia. Establishment and development of professional theatre in Telavi was facilitated by the political-economic factors along with the rich theatre tradition (Improvised masqueraded folk theatre in Georgia – Berikaoba and Keenoba) under the rule of King Erekle II. The first attempt to establish professional theatre performances occurred under the reign of King Erekle II. In 1758, Erekle II established a theological-philosophical academy. Teaching methods, content and techniques were similar to Russian theological educational institutions. As reported, students used to learn rhetoric same as “Art of Words” and declamation. The curriculum was designed to study the rules of dramatic theory, resulting in a creation of a new, original play. The students of a theological-philosophical academy used to perform wide range of plays with their own resources and performed it on the stage of the academy. The first such performance was dedicated to the 3rd year anniversary of the academy in 1761. It is the period when the history of so called “school theatre” started. This date is considered as the year of the first professional performance in Telavi.

თელავის თეატრი - 260

წელს ჩვენი სამშობლო დიდი მეფის - ერეკლე მეორეს 300 წლისთავს აღნიშნავს. მისი სახელი თითოეული ქართველისთვის ძვირფასია. სიმბოლურია, რომ ერეკლეს იუბილესთან ერთად, თელავის თეატრის 260 წლისთავსაც ავღნიშნავთ. ეს ორი მოვლენა ხომ უშუალო კავშირშია. ერეკლე მეორე საქართველოს ისტორიაში იყო გამორჩეული მეფე, ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური, მრავალმხრივი მოღვაწე. ერთი მხრივ, იგი დიდი მეომარი და შესანიშნავი სამხედრო სტრატეგი იყო, ხოლო მეორე მხრივ, იგი იღწვოდა ქართული კულტურისა და ხელოვნების განვითარებისთვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია ისიც, რომ ამ განვითარების ერთ-ერთ მამოძრავებლად ერეკლე საქართველოში ევროპული კულტურისა და ხელოვნების ელემენტების შემოტანას მიიჩნევდა. სწორედ მის დროს დაარსდა სატახტო ქალაქ თელავში პირწმინდად ევროპული ხასიათის სახელოვნებო დაწესებულება - თეატრი. დაარსებიდან სულ მალე, თელავის თეატრი იქცა მთელი საქართველოს უმნიშვნელოვანეს კულტურულ კერად. მან მნიშვნელოვანი გავლენა იქონია როგორც მთელი ქართული თეატრის, ასევე ქართული დრამატურგიის შემდგომ ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე.

დღეს თელავის თეატრი ისევ გვახარებს თავისი მრავალფეროვანი რეპერტუარითა და შესანიშნავი სამსახიობო დასით.

ვულოცავ სრულიად საქართველოს ამ ორ შესანიშნავ საიუბილეო თარიღს!

პატივიცემით,

ბიძინა ივანიშვილი

260 წელი გავიდა თელავში, კავკასიაში ყველაზე ძველი თეატრალური კერის ჩამოყალიბებიდან, რომლის დაარსება დიდი ქართველი მეფის, ერეკლე მეორეს დამსახურებაა.

საამაყოა, რომ თელავის თეატრი ორნახევარი საუკუნის შემდეგაც კი, პატარა კახის დაბადებიდან 300 წლის თავზე, ღირსეულად აგრძელებს ტრადიციებს და ჩვენს ეროვნულ ინტერესებს ემსახურება.

უნდა ვიამაყოთ ჩვენი სამშობლოს მდიდარი წარსულით, რომელსაც უნდა გავუფრთხილდეთ და მომავალი განვითარების შთაგონებად ვაქციოთ.

ვულოცავ თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დასს და ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ქართული ხელოვნება და კულტურა. ვუსურვებ თეატრს კიდევ მრავალ შემოქმედებით წარმატებას.

პატივისცემით, საქართველოს პრემიერ-მინისტრი

გიორგი გახარია

თელავის თეატრი - 260

თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს ქართულ თეატრალურ სივრცეში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

ორ საუკუნეზე მეტია, რაც თელავის თეატრს ქართული კულტურის განვითარებაში ღირსეული წვლილი შეაქვს.

მნიშვნელოვანია, რომ პირველი წარმოდგენები თელავში მეფე ერეკლეს დროს იმართებოდა, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, თუ რა საუკუნოვანი ტრადიციების მატარებელია თელავის თეატრი და როგორ გააცოცხლა კულტურული ცხოვრება ამ რეგიონში. სწორედ ასე ძლიერდება საზოგადოება და ქვეყანა, რამეთუ საქართველოს მომავალი რეგიონების გაძლიერებაზე დგას, რეგიონების გაძლიერება კი წარმოუდგენელია იქ კულტურის განვითარების გარეშე.

ვულოცავ თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს და მის გულშემატკივარს 260 წლის იუბილეს, ვუსურვებ ნაყოფიერ შემოქმედებით ცხოვრებას. დარწმუნებული ვარ, რომ თეატრი საუკუნოვან ტრადიციას კვლავაც ღირსეულად გააგრძელებს და კიდევ უფრო გაამდიდრებს ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებას.

საქართველოს პრეზიდენტი
სალომე ზურაბიშვილი

ვულოცავ თელავის თეატრს დაარსებიდან 260-ე წელს.

ეს არის თეატრი, რომელსაც მდიდარი წარსული და დიდი ტრადიცია აქვს. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ 300 წელი გავიდა საქართველოს უდიდესი მეფის, ერეკლე II-ის დაბადებიდან, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა თეატრალური სფეროს განვითარებას. ამ ფაქტორმა განაპირობა შემდგომ, პროფესიული თეატრის ჩამოყალიბება სწორედ თელავში. ერეკლე II-ის უდიდესი ძალისხმევით, თელავი გახდა კულტურული ცენტრი. პირველი წარმოდგენები თეატრში სწორედ მის დროს იმართებოდა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ თეატრმა გაუძლო დროისა და სივრცის გამოცდას, არაერთ თაობას აჩვენა ისტორიის დრამატული მომენტები და შეუქმნა სივრცე თანამედროვე აზროვნებისთის.

კიდევ ერთხელ, ვულოცავ თელავის თეატრს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, ვუსურვებ მუდმივ განვითარებას, მსახიობებს კი - პროფესიულ წარმატებას!

პატივისცემით, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
არჩილ თალაკვაძე

თელავის თეატრი - 260

საქართველოს უმდიდრესი თეატრალური ტრადიციები აქვს და ამის ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა სწორედ ის სამი საუკუნე, რომლის განმავლობაში თელავის თეატრი წარმოდგენებს სთავაზობს მაყურებელს. როდესაც ვლაპარაკობთ ამ თეატრზე, არა მარტო ქართული თეატრალური ხელოვნების ისტორია, არამედ მთელი საქართველოს ბოლო 260 წლის წარსული ცოცხლდება. ეს არის თეატრი, რომელსაც ერეკლე მეორის დროს ჩაეყარა საფუძველი და დღემდე ღირსეულად დგას ქართული თეატრალური ხელოვნების ავანგარდში.

ვულოცავ თელავის თეატრს, მთელ თეატრალურ დასს, მის კოლექტივს 260 წლის იუბილეს. ვუსურვებ ნაყოფიერ საქმიანობას, წარმატებულ თეატრალურ სეზონებს და ანშლაგებით მიმდინარე მრავალ წარმოდგენას. რაც მთავარია, მაყურებლის სიყვარულს და დაფასებას.

პატივისცემით, თბილისის მერი

კახა კალაძე

ვულოცავ თელავის თეატრს დაარსების მნიშვნელოვან თარიღს, 260 წლის იუბილეს.

თელავის თეატრი ყველაზე დიდი წარსულის მქონე თეატრია. მისი ისტორია ერეკლე II მეფობის პერიოდში იწყება. მაჩაბლის დასის შემოქმედებითი მემკვიდრეები დღესაც წარმატებით აგრძელებენ საქვეყნო საქმიანობას. ეს ის თეატრია, სადაც მოღვაწეობდნენ დიდი ქართველი ხელოვანები, მათ შორის, ლადო მესხიშვილი, ვასო აბაშიძე, ალექსანდრე ყაზბეგი, სერგო ზაქარიაძე, კოტე მარჯანიშვილი.

აღსანიშნავია, რომ თელავის თეატრი ქართულ სათეატრო სივრცეში ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და გამორჩეული თეატრია. მიუხედავად იმისა, რომ კორონავირუსის პანდემიამ ქვეყანაში კულტურული ცხოვრება სერიოზული გამოწვევების წინაშე დააყენა, თელავის თეატრმა, ერთ-ერთმა პირველმა გადაინაცვლა ალტერნატიულ ღია სივრცეში და იუმორით გამოეხმაურა პანდემიას.

ვულოცავ ქართველ მაყურებელს, კახეთსა და სრულიად საქართველოს. გისურვებთ წარმატებას, შემოქმედებით წინსვლას და იმედს ვიტოვებ, რომ ძალიან მალე მოგვეცემა შესაძლებლობა თეატრის სივრცეში ვიხილოთ თქვენი შესანიშნავი დასი და სპექტაკლები.

მიხეილ ჩხენკელი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

თელავის თეატრი - 260

თელავის თეატრის ისტორიისა და ტრადიციების შესახებ არა მხოლოდ კახეთში, მთელი საქართველოს მასშტაბით არის ცნობილი.

სიმბოლურია, რომ თელავის თეატრის დაარსება მეფე ერეკლეს სახელს უკავშირდება, პირველი წარმოდგენებიც ხომ სწორედ ერეკლე II-ის მოღვაწეობის პერიოდში იმართებოდა ჩვენს ქალაქში.

ორ საუკუნეზე მეტია თელავის სახელმწიფო დრამატული თეატრი ღირსეულ ადგილს იკავებს ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში და ჩვენი საზოგადოების სულიერი საზრდოს ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

მრავალი ათეული წლის მანძილზე თეატრმა და მისმა წარმატებულმა მსახიობებმა არა ერთი პრემიერა ჩაატარეს ანშლაგით, არა ერთ ქალაქში გამართეს ტურნე, არაერთი მნიშვნელოვანი პრიზი დაიმსახურეს.

ვულოცავთ თელავის თეატრს 260 წლის საიუბილეო თარიღს. დარწმუნებული ვარ, მომავალშიც დიდი წარმატება და საერთაშორისო აღიარება ელის თელავის თეატრში დადგმულ სპექტაკლებს ჩვენს ქვეყანასა და მის საზღვრებს გარეთ.

თელავის მუნიციპალიტეტის მერი

შოთა ნარეკლიშვილი

თელავის კულტურული ცხოვრების უძველეს და მდიდარ ტრადიციათაგან ერთ-ერთი თვალსაჩინო და გამორჩეული ვაჟა-ფშაველას სახელობის თელავის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრია, რომელსაც წელს 260 წელი უსრულდება.

260 წელი, შესაძლოა, მარადისობასთან მიმართებაში ერთი გაელვება იყოს, თორემ ჩვენს მოცემულობაში ათეულობითა და ასეულობით შემოქმედებითად დატვირთულ სათეატრო სეზონს, და შესაბამისად, ამდენივე ღირსშესანიშნავ ფურცელს გულისხმობს ქართული თეატრის სახელოვან მატეანეში.

სხვადასხვა ეპოქაში განსახვევებული, სრულიად გამორჩეული ხელწერისა და ინდივიდუალობის სათეატრო კერა, მუდამ ინარჩუნებდა ავანგარდის პოზიციას როგორც სულიერების, ეროვნული მსოფლმხედველობისა და ენის სიწმინდის შემნახველი და გადამრჩენელი. მის სცენას ახსოვს დიდი კორიფეები, ხმაურიანი, სახელოვანი პრემიერები და წარმატებული ბენეფისები, აღტაცებული მაყურებლის ოვაციები და ქებით აღსავსე რეცენზიები, რაც დღეს უკვე ისტორიაა, საამაყო და მაგალითის მიმცემი მისი დღევანდელი მესვეურებისათვის. მით უმეტეს, რომ თელავის თეატრს დღესაც უდიდესი მისია ეკისრება კახეთის რეგიონში, (და არა მარტო!) და ისიც თავდაუზოგავად და ერთგულად, მაღალი პროფესიონალიზმითა და თავდადებით ღირსეულად აგრძელებს წინაპართა ნაფუძარზე ჩაყრილ სახელოვნებო ტრადიციას.

ვულოცავ ამ ღირსშესანიშნავ იუბილეს სამეფო კარის თეატრის, დავით მაჩაბლის სახელოვანი დასის ღირსეულ მემკვიდრეს და ვუსურვებ მრავალ წარმატებულ სათეატრო სეზონსა და თაყვანისმცემელთა კიდევ უფრო მრავალრიცხოვან ლაშქარს როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

მუდამ ფერისა და ტონის მიმცემი ყოფილიყოს თელავის თეატრი ჩვენი სატახტო ქალაქის კულტურული ცხოვრებისათვის!

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

არჩილ თხლაშიძე

თელავის თეატრი - 260

სრულიად თეატრალურ საზოგადობას ვულოცავ თელავის თეატრის კიდევ ერთ იუბილეს!

თელავის თეატრი არსებობის 260 წელს ითვლის და ყველა იმ თელაველთან ერთად, ვისთვისაც ესოდენ საყვარელი და მნიშვნელოვანია ერეკლე II მეფობის დროიდან დაწყებული მისი ქალაქის თეატრალური ტრადიციები, მეც, დიდ სიამაყის გრძნობას მანიჭებს ეს ფაქტი.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ საქართველოში, დრამატული მწერლობის შექმნა და განვითარება XVIII საუკუნის „ერეკლეს თეატრის“ დამსახურებაცაა, რადგანაც აქ არა მარტო დრამატურგია ითარგმნებოდა, არამედ დრამატული ხელოვნებაც ისწავლებოდა. მეფის ქალაქში, თეატრის დაარსებიდან თანამედროვეობამდე ქართული სცენის გამოჩენული ოსტატები მოღვაწეობდნენ და სხვადასხვა დროს, ყველა ერთად, ერთ დიდ ქართულ საქმეს ემსახურებოდნენ. უამრავი ცნობილი და საპატივსაცემო სახელია თელავის თეატრთან დაკავშირებული. შეუძლებელია ერთ მოკრძალებულ სიტყვაში შესაფერისი პატივისცემით მოიხსენიო ყოველი მათგანი და მათ ღვაწლზე, უამრავ შესანიშნავად დადგმულ სპექტაკლზე და შესრულებულ როლზე ისაუბრო. უამრავი სირთულე და გასაჭირი ღირსეულად გადაიტანა თელავის თეატრმა და სხვადასხვა დროს, უსახსრობის, უბინაობის, სიცივისა თუ სიბნელის საპირწონედ, ახალგაზრდა თაობის საყრდენად იქცა დიდი ტრადიციების მქონე ვეტერანი მსახიობების მთელი პლეადა.

თელავის თეატრი დღემდე საინტერესო შემოქმედებით ძიებაშია და პროფესიული კეთილსინდისიერებით ემსახურება საყვარელ საქმეს, რისთვისაც ყველაზე მნიშვნელოვანი ჯილდო - მაყურებლის სიყვარული და აღიარება უკვე დამსახურებული აქვს.

კიდევ ერთხელ ვულოცავ იუბილეს თელავის თეატრის შემოქმედებით გუნდს და ყველა თანამშრომელს! თითოეულ თქვენგანს ვუცხადებ პატივისცემას და თანადგომას როგორც პირადად, ისე მთელი სახელისუფლებო გუნდის სახელით!

მე- 9 მოწვევის პარლამენტის ახმეტისა და თელავის მაჟორიტარი დეპუტატი

გელა სამხარაული

სრულიად თეატრალურ საზოგადობას ვულოცავ თელავის თეატრის სახელოვან იუბილეს. თელავის თეატრი - ეს ორი სიტყვა ყოველგვარი განსაკუთრებული რეგალიების გარეშე დიდი შემოქმედებითი ისტორიისა და ტრადიციების დამტევია, რადგან 260 წლოვანი ბიოგრაფიის სათეატრო კერით ბევრი ქვეყანა და ერი ვერ დაიკვეხნის. ერეკლეს სამეფო კარიდან მოყოლებული, დავით მაჩაბლის არტისტული ამქრის გმირული თავდადებიდან დაწყებული კრწანისი ომში, ბევრი ბრძოლა გადახდა თავს ქართულ სასცენო ხელოვნებას და მის მესვეურთ და თუ დღეს ვამაყობთ ჩვენი თეატრით, ამაში ლომის წილი სხვა ლიდერ დასებთან ერთად უპირველესად ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრს მიუძღვის. ის დღეს გამორჩეულად მხნედ და ლაღად აგრძელებს თავის შემოქმედებით ცხოვრებას და ახალი სათეატრო დადგმებითა და არტისტული თუ სარეჟისორო ნამუშევრებით საინტერესო ფერებს მატებს ქართული სათეატრო პალიტრის მრავალფეროვან სპექტრს.

სულითა და გულით ვულოცავ ამ სახელოვან დასს 260 წლის იუბილეს და ვუსურვებ ახალ შემართებასა და პროფესიული მწვერვალების დაპყრობას მეგობარ კოლეგებთან ერთად საქართველოს წარმატებისათვის!

ირაკლი ქადაგიშვილი

თელავის თეატრი - 260







გილოცავთ დიდ და ნამდვილ იუბილეს კოლეგებო და მეგობრებო!

თელავის თეატრი ჩემს მეხსიერებაში ყოველთვის იყო ნამდვილი თეატრი. მეამაყება, რომ ამდენი ხანი არსებობს იგი, რომელიც სულ მოწინავეთა შორის იყო. გვახსოვდეს ფედერიკო გარსია ლორკას სიტყვები, რომ ერი, რომელიც არ ზრუნავს თავის თეატრზე, ან კვდება, ან დიდი ხნის მკვდარია. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს თეატრს სიკვდილი არ უწერია.

თემურ ჩხეიძე



თელავის თეატრი მართლაც გამორჩეულია მდიდარი ისტორიითა და შემოქმედებითი წარმატებებით, ამიტომაც თავისი განუმეორებელი ადგილი უკავია ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში. ტრადიციული და ამავდროულად ნოვატორული, ასეთია ჩემთვის თელავის თეატრის ,,უხუცესი" დასი. გილოცავთ იუბილეს და მრავალ, მრავალ წარმატებას გისურვებთ, ძვირფასო თელაველებო.

პატივისცემით,

მირონ შველიძე

თელავის თეატრი - 260



მსოფლიოში ცოტა თეატრი თუ დაიკვეხნის, რომ ორ საუკუნეზე მეტს მოითვლის თავისი არსებობიდან. თელავის დრამატულ თეატრს სწორედაც რომ საამაყოდ აქვს საქმე - 260 წლის გახდა. ერეკლე II-დან დღემდე გაიარა გზა, რომელიც არ ჰგავს და ვერც ემსგავსება ვერც ერთი სხვა თეატრის ისტორიას მსოფლიოში. არავინ იცის, როგორი იყო ის XVIII საუკუნეში, მაგრამ XIX საუკუნიდან უკვე არაერთი ინფორმაცია მოიპოვება. ცნობილია, რომ აქ, 1866 წელს, კიდევ ერთხელ დაიდგა ჩვენს სინამდვილეში გიორგი ერისთავის „გაყრა“... ისიც ცნობილია, რომ რევოლუციამდე თელავის თეატრში თანამშრომლობდნენ ქართული სცენის იმდროინდელი ვარსკვლავები - ნამდვილი ვარსკვლავები - ნუცა ჩხეიძე თუ მაკო საფაროვა-აბაშიძე, ვალერიან გუნია თუ ალექსანდრე იმედაშვილი... 1931-32 წლის სეზონიდან თელავის თეატრი უკვე პროფესიულ თეატრად გადაკეთდა და დღემდე მოდის გზაზე, რომელიც ნამდვილია, ჭეშმარიტი და უდავოდ პროფესიონალური.

თეატრალური საზოგადოება ულოცავს თელავსა და ამ ქალაქის გამორჩეული თეატრის გამორჩეულ დასს ისტორიულ იუბილეს! წინ კიდევ მრავალი ასწლეულია! მრავალი წარმატება და სიხარული!

საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე
გიორგი გეგეჭკორი

მაქვს პატივი, სულითა და გულით მოგილოცოთ 260 წლის იუბილე „მაჩაბელას დასის“ ტრადიციების ღირსეულ გამგრძელებელ თელავის თეატრს და მის თითოეულ წევრს. ძალიან ცოტა ერს თუ ჰყავს მსოფლიოში ისეთი თეატრი, რომელსაც შეუძლია მოღვაწეობის თითქმის სამი საუკუნე და გმირი მსახიობები დაიკვეხნოს. გისურვებთ წარმატებებს, მუდამ საინტერესო, აქტუალურ სპექტაკლებს და გულანთებულ და თვალზე ცრემლმომდგარ მაყურებელს.

საქართველოს კულტურის პალატის პრეზიდენტი
მარად თქვენი, **დავით ოქიტაშვილი**

ბედნიერებაა, რომ შესაძლებლობა მეძლევა მივულოცო საქართველოს უძველეს თეატრს ეს ღირშესანიშნავი თარიღი. გილოცავთ ჩემო კარგებო, მარჯანიშვილის თეატრის სახელით, ქართველი მაყურებლის სახელით. გისურვებთ ბედნიერებას, წარმატებას, ფინანსურ წარმატებას, მაყურებლის სიყვარულს, რომელიც არ გაკლიათ ისედაც და ყველაფერს სხვას, რასაც თქვენ თვითონ უსურვებთ თქვენს თავს.

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი
ლევან წულაძე

ვულოცავ თელავის თეატრს 260 წლის იუბილეს. მინდა ვუსურვო ბევრი წარმატებული პრემიერა და იმ ტრადიციების გაგრძელება, რომლითაც ასე ამაყობს ქართული თეატრი.

გქონდეს ამდენი წლის ისტორია - ერთი მხრივ, ძალიან საამაყოა და ამავდროულად საპასუხისმგებლო, რადგანაც გვინდა თუ არა ახლის შექმნის დროს ისტორია მაინც თავის მარწუხებში გაქცევს. არა და მისი არ გათვალისწინებაც შეუძლებელია... ალბათ ახალგაზრდა (ძველგაზრდაც) რეჟისორისთვის ესაა ყველაზე დიდი დილემა.

მე ვუსურვებ სხვასაც და საკუთარ თავსაც დავძლიოთ ეს დილემა და არაერთი საინტერესო სპექტაკლის განხორციელება შევძლოთ ამ ისტორიულ თეატრში.

კიდევ ერთხელ გილოცავთ!

ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.
დიდი სიყვარულით, **დავით დოიაშვილი**

გილოცავთ დიდ და ნამდვილ იუბილეს კოლეგებო და მეგობრებო!

-"აბა, მე დედაზე, რა უნდა ვთქვა" - ასე იწყებს რეზო ინანიშვილი თავის ერთ შესანიშნავ მოთხრობას. მეც იგივეს ვიტყვი, აბა მე თელავის თეატრზე რა უნდა ვთქვა... ახალგაზრდობა, წარმატებები ამ თეატრთან ერთად გავიარე. ვულოცავ იუბილეს და ვუსურვებ დიდ წარმატებებს ჩვენს საამაყო თელავის თეატრს სრულიად საქართველოს სასიხარულოდ.

რეჟისორი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ალექსანდრე (ნუკრი) ქანთარია

ვულოცავ თელავის თეატრს ამ არაჩვეულებრივ იუბილეს. მეამაყება, რომ ვმეგობრობ მის კოლექტივთან, რომ ვიცნობ მათ შემოქმედებას და ყოველთვის მიხარია მათი ახალი ნამუშევრები. თელავის თეატრს, პაატა გულიაშვილის ხელმძღვანელობით, დღეს, გამორჩეული და ღირსეული ადგილი უკავია საქართველოს თეატრალურ რუკაზე და ღრმად ვარ დარწმუნებული, ეს გამორჩეულობა და ღირსეულობა, დიდხანს იქნება ამ თეატრის თანმდევი.

ალექსანდრე გრიბოედოვის რუსული დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, თავისუფალი თეატრის დამაარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ავთო ვარსიმაშვილი

დიდ იუბილეს ზეიმობს წელს ჩემი უსაყვარლესი თელავი და სრულიად საქართველო: დიდი ერეკლეს 300 წლისთავს და თელავის თეატრის 260 წლის დაბადების დღეს. დიახ, სწორედ ერეკლე მეფის კარზე დაირწა ქართული თეატრის აკვანი. 260 წელი თელავის თეატრი მუდამ ამბობს თავის გამორჩეულ სიტყვას თეატრალურ ცხოვრებაში. გამორჩეულად მიყვარხართ თელაველებო და გამორჩეულად გეფერებით და გილოცავთ!

რეჟისორი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მრჩეველი

მანანა ბერიკაშვილი

თელავის თეატრი - 260

ბევრი კარგი და სახელოვანი თეატრი არსებობს ამქვეყნად, მაგრამ არის თეატრი, რომელიც ჩემთვის უპირველესი იყო, არის და იქნება- თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ დრამატული თეატრს 260 წელი უსრულდება! ზოგ ქვეყანას ქალაქი არ აქვს ამ ასაკის, ჩვენ კი თელავის თეატრზე საუბრისას მუდამ თავს ვიწონებთ იმ სახელოვნებო წარსულითა და ტრადიციით, რომელიც არც უსაფუძვლოდ აღმოცენდება და არც უკვალოდ იკარგება.

მხოლოდ რამდენიმე სახელისა და გვარის ხსენებაც კი კმარა წარსულსა და თანამედროვეობაში, რომ თელავის თეატრს ქართული სასცენო ხელოვნების საგანძურში მივუჩინოთ საპატიო ადგილი .ახლა მათ შეგნებულად არ ჩამოვთვლი, რადგან სია გაცილებით უფრო ვრცელია და მდიდარი, ვიდრე ეს ერთ სათეატრო კერის ისტორიისთვისაა საკმარისი.

თელავის თეატრი ჩემი თეატრია - არა მხოლოდ იმიტომ, რომ ერთ დროს მისი კურატორი თეატრმცოდნე მერქვა და არაერთი პუბლიკაცია დამიწერია საუკეთესო სპექტაკლებზე, არც მხოლოდ იმიტომ, რომ წლების განმავლობაში მისი რეპერტუარი და ისტორია ჩემს მეუღლეს ცნობილ მსახიობს ვანო იანტბელიძეს უკავშირდება, არც მარტოოდენ იმიტომ, რომ გარკვეულ პერიოდში ჩემს რამდენიმე სათეატრო ოპუსს ფართოდ გაუღო ფარდა და დიდი თუ მცირე სცენის სასცენო ფიცარნაგი დაუთმო, თელავის თეატრი ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია თავისი წარმატებით, მარცხით, სიკეთით, სივალალით, სიხარულითა თუ ტკივილით და ცხოვრებაც ხომ სწორედ ესაა!

მთელი გულით ვულოცავ ჩემს ჭარმაგ თეატრს 260 წლის უსერიოზულეს იუბილეს და ვუსურვებ კიდევ არაერთი ნაყოფიერი სათეატრო სეზონით ეტვირთოს ქართული თეატრის საუკეთესო კულტურული მემკვიდრეობის გამგრძელებლის მძიმე ჯვარი...

თეატრმცოდნე, თელავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

ფიქრია ყუშიტაშვილი

თელავის თეატრი 260 წლის ხდება. თელავის თეატრიო დავწერე და პროფესიული ქართული თეატრი ვიგულისხმე. მსოფლიოში ამ თეატრს არა მგონია ანალოგი ჰყავდეს. ყოველ შემთხვევაში მე არ მახსენდება, როდესაც თეატრი ზუსტად იმდენი ხნისაა, რამდენისაც მისი ქვეყნის თეატრის ისტორია. ჰოდა ამ ყველაფრის გათვალისწინებით, განა რა უნდა ვუსურვო მარად ცოცხალ და მუდამ სიახლის მოყვარულ დიდ წინაპარს. მხნეობა, დღეგრძელობა და ახალ-ახალი და დიდი წარმატებები მომავალში. წარსული კი მუდამ ჩვენთანაა. წარსული, რომელზეც თაობები გაიზრდებიან. მჯერა, რომ თელავის თეატრი კიდევ ბევრ ავალიშვილს, მაჩაბელს, აწყურელს, ახვლედიანს, ბურბუთაშვილს, ჩელთისპირელს, კუპატაძეს, ვერულაშვილს... გამოზრდის ქართული თეატრისთვის.

პატივისცემით, სიყვარულითა და თქვენი შემოქმედებისადმი აღფრთოვანებით

ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი

დიმიტრი ხვთისიაშვილი

ოზურგეთისა და თელავის თეატრებს ისტორიული მეგობრობა აკავშირებთ. ეს წრფელი და მადლიანი ურთიერთობა რამდენიმე ათეული წელია გრძელდება. ჩვენ მუდმივად ვცვლიდით ერთმანეთის არენებს და ასეა დღესაც. არასდროს დაგვავიწყდება თქვენი მასპინძლობა და ჩვენც უკვე გელით ჩვენს ახლადრეაბილიტირებულ თეატრში. მჯერა, ჩვენი მეგობრობა ჩვენს შემდეგაც გაგრძელდება მანამ, სანამ ქართული თეატრი იარსებებს. გილოცავთ კოლეგებო და ძვირფასო მეგობრებო სახელოვან იუბილეს, მუდამ წინ და წარმატებით გევლოთ!

ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ნოდარ დუმბაძის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის დამფუძნებელი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

ვასო ჩიგოგიძე

თელავის თეატრი - 260

ვულოცავ უდიდესი ისტორიის და ტრადიციების მქონე თელავის ვაჟა ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრს ღირსშესანიშნავ იუბილეს. გისურვებთ დიდხანს და საინტერესო თეატრალურ ცხოვრებას. წარმატებები ყოფილიყოს მუდამ თქვენი მეგზური.

პატივისცემით, ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს რეგიონული თეატრების ქსელის პრეზიდენტი, რეგიონული თეატრების საერთაშორისო ფესტივალის დირექტორი

თენგიზ ხუხია

ჩემო თელაველო მეგობრებო, მზის ამოსვლას პირველნი თქვენ ეგებებით და ღმერთმა პირველობა არ მოგიშალოთ არასოდეს თქვენს საყვარელ საქმიანობაში. მრავალი საუკუნე ბრწყინავდეთ თქვენი სპექტაკლებით. მჯერა და მწამს, რომ თქვენი წინამორბედი ,,მაჩაბელას“ დასივით სახელოვანი იქნებით მუდამ. გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, აღმავლობას და წარმატებებს. დიდი სიყვარულითა და ღრმა პატივისცემით,

მესხეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, ვერიკო ანჯაფარიძის და სესილია თაყაიშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი.

ლია სულუაშვილი

ილია ჭავჭავაძემ თავის ერთ-ერთ წერილში ერეკლე მეორეს ,,საქართველოს რკინის კარი“ უწოდა. რთულია, უფრო შესაფერისი, უფრო ზუსტი შედარება მოუძებნო ჩვენს დიდებულ მეფესა და მხედართმთავარს. მე ასეთ შეფასებას თელავის თეატრისთვისაც არ დავიშურებდი. ამ თეატრის წარსულიცა და აწყმოც საუკეთესო მაგალითია ერისა და ქვეყნის მსახურების, ქართული ნიჭიერების სცენიური ელვარების. ვულოცავ მთელ თეატრს, მის დასს საიუბილეო თარიღს, განსაკუთრებით მის სამხატვრო ხელმძღვანელს, ჩემი პირველი სამსახიობო ჯგუფის კურსდამთავრებულ, უნიჭიერეს პაატა გულიაშვილს! მომავალი წარმატებების რწმენით!

რეჟისორი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დრამის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

გიორგი შალუტაშვილი

თელავის თეატრი ქართული თეატრის ფესვებია!.. კრწანისის ომში აღმოცენებული, ძლიერი, ნიჭიერი და გამარჯვებული. ვულოცავ ჩემს კოლეგებს, ჩემს მეგობრებს 260-ე საიუბილეო სეზონს, ვულოცავ ჩემს საყვარელ თელავს!

ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი

კოტე აბაშიძე

თელავის თეატრი - 260

მივესალმები ჩვენი ქვეყნის ისტორიულ და ერთ-ერთ განსაკუთრებულ თეატრს, რომელსაც ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში თავისი მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის. მიხარია, რომ თელავის თეატრთან, რეგიონული თეატრების საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში მჭიდრო თანამშრომლობა მაკავშირებს.

ვულოცავ თელავის თეატრს აღსანიშნავ საიუბილეო თარიღს.

მსახიობი, რეგიონული თეატრების საერთაშორისო ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი

ნინელი ჭანკვეტაძე

მსოფლიოს უამრავი დიდი ქალაქის სახელგანთქმული თეატრი ისურვებდა თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ისტორიის ქონას. ამ თეატრის ისტორია აღსავსეა ყველანაირი ჟანრის ამბებით, ადამიანური სულისა თუ სახელოვნებო მიღწევების უდიდესი დღესასწაულებით. მაგრამ თეატრი მხოლოდ ისტორიით ვერ იცხოვრებს, ამ ინსტიტუციას ყოველ დღე აქვს დასაპყრობი ახალი მწვერვალები, როგორც იტყვიან დღეს და ახლა. გაუმარჯოს თელავის თეატრის დღევანდელობას, რომელსაც ქმნიან უაღრესად ნიჭიერი, მაღალი კვალიფიკაციის მქონე ხიბლიანი, სიმპათიური ადამიანები ასევე სიდარბაისლით აღსავსე, მაღალი გემოვნების მქონე თელაველი მაყურებლის სასახელოდ. ხოლო რაც შეეხება ისტორიას, მან არაერთხელ ცხადჰყო, რომ თელაველი მაყურებლის გულის მოგება ბევრჯერ გადაქცეულა სრულიად ქართული თეატრის გამარჯვებად! ბათუმის დრამატული თეატრი უსურვებს თავის ასაკით უფროს მეგობარ თეატრს წინსვლას, წარმატებებს და მასში მომუშავე ადამიანებს ბედნიერებას და ჯანის სიმრთელეს. ბარაქა თქვენსა, ძმებო!

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი

ანდრო ენუქიძე

თელავის თეატრი ჩემი ბავშვობის მოგონებებთანაა დაკავშირებული... მახსენდება არაჩვეულებრივი მსახიობები: თინა ბურბუთაშვილი (მამიდა), დოდიკა სხირტლაძე (ბიძა), ვახტანგ ჩელთისპირელი, პლატონ ახვლედიანი, ალექსი კუპატაძე... დაუსრულებლად შემიძლია განვაგრძო... მარადიული ხსოვნა ყველას ვინც თეატრის წარმატებაში წვლილი შეიტანა... ახლანდელ თაობებს კვლავ წარმატებას ვუსურვებ!

რეჟისორი

ლილი ბურბუთაშვილი

ჩემ საყვარელ თეატრს და მის ერთგულ მაყურებელს ვულოცავ 260 წლის იუბილეს. დაე შემდეგმა წლებმა სულ უფრო მეტი შთაგონება და ახალი იდეები მოგიტანოთ.

გისურვებთ ბრწყინვალე პრემიერებს, წარმატებულ დადგმებს და ახალ გამარჯვებებს. არასოდეს მოგკლებოდეთ თელაველების სიყვარული და მხურვალე აპლოდისმენტები. დაე, ყოველმა თქვენმა სპექტაკლმა ადგილი დაიმკვიდროს მაყურებლის გულში და მათი აღტაცება ყოფილიყოს თქვენი დაუღალავი შრომის საფასური. ბედნიერი ვარ, რომ ამ განვლილ 260 წელიწადში ჩემი მოკრძალებული 10 წელიც ურევია.

თელავის თეატრში ფეხადგმული რეჟისორი

მალხაზ ასლამაზაშვილი

თელავის თეატრი - 260

გულითადად ვულოცავ თელავის თეატრს საიუბლეო თარიღს. თითქმის სამსაუკუნოვანი ისტორიით ვერც თუ ისე ბევრი თეატრი დაიკვეხნის მსოფლიოში. ბედნიერი ვარ, რომ მომიწია აქ სპექტაკლების დადგმა. საოცარი განწყობა გეუფლება მუშაობისას. თითქოს შინაგანად მთლიანად გიპყრობს ატმოსფერო, რომელიც ამ უძველეს თეატრში მეფობს, ერეკლე მეორის დროიდან მოყოლებული დღემდე. უყურებ მსახიობებს სცენაზე და გეჩვენება, რომ მაჩაბელას დასი უმაგრებს ზურგს.

გილოცავთ, ჩემო ძვირფასებო, კიდევ მრავალ წარმატებას გისურვებთ, კიდევ ბევრჯერ გაგეხარებინოთ თქვენი ერთგული მაყურებლის გული.

პატივისცემით,

ნიკოლოზ ჰაინე შველიძე

დიდი სიყვარულით ვულოცავ ვაჟა-ფშაველას სახელობის თელავის თეატრს იუბილეს, გისურვებთ მუდამ ღირსეულად გეტარებინოთ დიდებული ვაჟას სახელი. ვიცი, როგორი განსაკუთრებულია თქვენი მაყურებელი და დიდი სიხარულია ყოველი გასტროლი გამორჩეული ტრადიციების ქალაქში, ამ ტრადიციებისა და ღირებულებების დიდი გამოხატულებაა თელავის თეატრი. დაე, კიდევ დიდხანს, კიდევ ბევრი წელი და საუკუნე ახარებდეთ მაყურებლის გულს ქართული კულტურისა და ხელოვნების სადარაჯოზე.

თბილისის სანდრო ახმეტელის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი

ირაკლი გოგია

თელავის თეატრი ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია. უამრავი კარგი მოგონება, სიხარულია დაკავშირებული მასთან-მსახიობებთან, საერთოდ თეატრის თანამშრომლებთან და ბუნებრივია, სპექტაკლებთანაც. თანაც უძველესი თეატრი - 260 წელი; ეს თარიღი კი, მას, დამატებით, სხვანაირ მნიშვნელობას და ღირებულებას სძენს ქართული თეატრალური კულტურის სივრცისთვის... ასე, რომ ვულოცავ თელავის თეატრს, ყველა მის თანამშრომელს და ვუსურვებ კიდევ ბევრ საინტერესო, შემოქმედებითად დატვირთულ დღეს, წელს, ბევრ სიხარულს - მარადჟამს!!!!

თეატრმცოდნე

მარიკა წულაძე

მეფე ერეკლე მეორის "სამეფო სახლთა შინა" ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა მიერ საძირკველჩაყრილი დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე - თელავის დრამატული თეატრი 260 წლის გახდა. მინდა ეს ღირსშესანიშნავი თარიღი მივულოცო არა მხოლოდ ამ თეატრს, არა მხოლოდ თელაველებს, არამედ ყველა ქართველ თეატრის მოღვაწესა და თეატრალს! ვუსურვო დასს კვლავაც დიდი წარმატებები და მისადმი მაყურებლის სიყვარულის გაასმაგება, რისი ღირსიც თელავის თეატრი უდაოდ არის!

თეატრმცოდნე

დოდო ხურცილავა

თელავის თეატრი - 260

ქართული თეატრის აკვანი თელავში ირწეოდა. ამ აკვანს მაჩაბელას თეატრის ბერიკები და მათი მემკვიდრენი არწევდნენ. ქართველმა მაყურებელმა კლასიკურ ევროპულ დრამატურგიასაც თელავის თეატრის მსახიობთა თამაშით მოუსინჯა კბილი. ამდენად იგი არა მხოლოდ ბერიკებად, განმანათლებლებად გვევლინებიან - ქართული საზოგადოებრივი აზროვნების საქმეშიც შეჰქონდათ წვლილი და კიდევ ერთხელ ადასტურებდნენ თეზას იმის თაობაზე, რომ ,,თეატრი შკოლაა.“

დაუვიწყარია თელავში თეატრალური სეზონის შესაჯამებლად დიდებულ ელენე ახვლედიანთან, ნათელა ურუშაძესთან და ვაჟა ბრეგაძესთან ერთად გატარებული დღეები, სპექტაკლები და როლები, ისევე როგორც წარუშლელია ამ თეატრში ჩემი პიესების სცენური სიცოცხლე: ნუკრი ქანთარიას მიერ განხორციელებული ,,წერილები შვილებს“ და ნუგზარ ლორთქიფანიძის სპექტაკლი ,,ლალი, სიყვარული და სხვები“. დღესაც თვალწინ მიდგას მსახიობთა თამაში. განსაკუთრებით ქალებმა იმარჯვეს (ოლღა შუბითიძის დედა და ნინო ლორთქიფანიძის ლალი.) ჩინებული სახეები შექმნეს!

თელავი ღვინითა და თეატრით გახლავთ გამორჩეული. თუ ნაღდია, ორივე მათრობელია და ეს თრობა თქვენი მადლია, დიდებულო თელაველებო!

დრამატურგი

გურამ ბათიაშვილი

ამ კრებულში ბევრ საინტერესო მოსაზრებას წავიკითხავთ თელავის თეატრზე, მის შემოქმედებით ცხოვრებაზე, ცალკეულ სპექტაკლებზე, მსახიობებზე (მოქმედზე თუ გარდაცვლილზე), რეჟისორებზე, მოკლედ, მის წარსულზე და აწმყოზე. მე კი მინდა თეატრის ყველაზე მთავარ შემადგენელზე - მაყურებლზე დავწერო.

თელავის თეატრის მაყურებელს, ისე როგორც ზოგადად კახელებს, ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება აქვს - ვერ გუობს სიყალბეს, ტყუილს. ის პირდაპირია, მომთხოვნი, დაფიქრებული და მოაზროვნე. თეატრში მისულს აინტერესებს გაიგოს რამე მისთვის მნიშვნელოვანი და გაიგოს პირდაპირ, გულღიად და ალალად! მას არ უყვარს ქარაგმები, არ მოსწონს შელამაზებული, მორთულ-მოკაზმული სიმართლე. ეს იცის თეატრმა და ისტორიულად ის ყოველთვის ერგებოდა მისი მაყურებლის ხასიათს. ამ თეატრში ყოველთვის დომინანტი იყო მართალი სიტყვა და გულწრფელი ემოცია, რეალობის რეალური ჩვენება. თელავის თეატრის სცენაზე ისე, როგორც ქალაქის ქუჩებში ისმის დახვეწილი ქართული (ასეთ სწორ მეტყველებას ძნელად თუ წააწყდები რომელიმე სხვა ქართულ დასშიც და სხვა რომელიმე ქართულ ქალაქშიც), ჩანს ნაღდი ცხოვრება. ეს თეატრი მისი მაყურებელივით ალალია და ამიტომაა მისი ყველაზე ნაღდი სახე - „ალალე“! აქ მაყურებელიც და სცენაც ერთი ჰაერით სუნთქავდა. აქ მართლაც და წაშლილი იყო ზღვარი სცენას და დარბაზს შორის. ამ სპექტაკლმა ყველაზე კარგად აჩვენა რატომ უყვართ და რისთვის დადიან თეატრში თელაველები.

თეატრმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი

გიორგი ჩართოლანი

თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო თეატრის მნიშვნელობა და მისი როლი ქართული თეატრის ისტორიაში მხოლოდ მისი ზესაპატიო ასაკით არ განისაზღვრება. ესაა ძარღვიან ლიტერატურასთან თუ კარგი ხარისხის დრამატურგიასთან მუდმივი კავშირი, რომლის მიღმა დიდი არტისტული და რეჟისორული წარსული იგულისხმება... და რადგან წარსული მომავლის გარეშე არ არსებობს, ერეკლეს ქალაქის თეატრს წინ კიდევ მრავალი თავგადასავალი და გამარჯვება ელის.

კრიტიკოსი

დავით ბუხრიკიძე

თელავის თეატრი - 260

თელავის თეატრში - ზღაპრული ქალაქის გულში - ყველა მისვლა მახსოვს და ასეთი „მისვლა“ არა ერთი და ორი, რამდენიმე ათეულია ბევრი წლის განმავლობაში. მახსოვს ყველა სპექტაკლი, რომლებიც მინახავს. მახსოვს ამ სპექტაკლების ყველა რეჟისორი და ყველა თაობის მსახიობები, რომლებიც თამაშობდნენ და თამაშობენ ამ სპექტაკლებში - უხუცესიდან ყველაზე ახალგაზრდით დამთავრებული და რომლებიც ქმნიდნენ, აგრძელებდნენ და დღესაც ქმნიან 260 წლის თეატრის ისტორიასა და დიდებას.

თელავის თეატრს - ეროვნული კულტურის უძველეს და უძლიერეს კერას - ყოველთვის ქონდა და აქვს პოზიცია და სათქმელი მაყურებლისთვის; თელავის თეატრმა - ყოველთვის იცოდა და იცის, რაზე უნდა ესაუბრა და ესაუბროს საზოგადოებას; თელავის თეატრს - ყოველთვის ქონდა და აქვს უნარი და შესაძლებლობა, მოძებნოს დროსა და გარემოების შესატყვისი მხატვრული ფორმა.

თელავის თეატრმა იცის, როგორ მიანიჭოს ადამიანებს სიხარული.

და მინდა სიყვარულში გამოვუტყდე თეატრს, რომელიც - ნამდვილი თელაველივით ღირსეული, გულღია, ლაღი და კეთილგანწყობილი - უხსნის გულს ყველას, ვინც მის სამყაროში, ისევე, როგორც თვითონ თელავში, ერთხელ მაინც მოხვდება და შემდეგ მუდამ გრძნობს მისი მიზიდულობის ძალას.

მინდა გულწრფელად, მთელი სულითა და გულით, მივულოცო ჩემ საყვარელ თეატრს საიბილეო თარიღი. მინდა მივულოცო ყველას, ვინც ამ თეატრში მუშაობს - კარისკაცებიდან, კაპელდინერებიდან, სცენის მუშებიდან დაწყებული, შემოქმედებითი და ტექნიკური ჯგუფებითა და ხელმძღვანელებით დამთავრებული - ყველას, ვისთვისაც ეს თეატრი „საკუთარი თეატრია“.

მინდა მივულოცო თელავსა და თელაველებს - ამ საგანძურის შემქმნელებსა და პატრონებს - ვაჟა ფშაველას სახელობის თეატრთან ერთად კიდევ ბევრი დღესასწაულის აღნიშვნა.

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს შოთა რუსთველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ლელა ოჩიაური

ჩვენს ქვეყანაში არსებულ ყველაზე უძველეს თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრს 260 წელი შეუსრულდა... მისი დაარსება მეფე ერეკლე II სახელთანაა დაკავშირებული, სწორედ მისი მეფობის ეპოქაში იწყება თელავში პროფესიული წარმოდგენების გამართვა. თელავის თეატრს „გმირი თეატრიც“ შეიძლება ვუწოდოთ, ვინაიდან პროფესიული დასები: გიორგი ავალიშვილის, გაბრიელ მაიორის, დავით მაჩაბელის თაოსნობით ეროვნულ-პატრიოტულ მოღვაწეობას ეწეოდნენ. უფრო მეტიც, აღა-მაჰმად ხანის შემოსევისას, კრწანისის ბრძოლაში გმირულად დაეცნენ - მაჩაბელა თავისი დასით და გაბრიელ მაიორი.

დღეს თელავის თეატრს მსახიობი პაატა გულიაშვილი ხელმძღვანელობს. თეატრის რეპერტუარში სხვადასხვა ჟანრის და ფორმის სპექტაკლებია. პაატა გულიაშვილი ხშირად ადგმევინებს წარმოდგენებს ახალგაზრდა თუ გამოჩენილ რეჟისორებს. ჩამონათვალი შორს წაგვიყვანს, მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებ: რობერტ სტურუა, ლევან წულაძე, ნანუკა ხუსკივაძე, ელენე მაცხონაშვილი, კახა გოგიძე, თათია პოპიაშვილი და სხვა. რეპერტუარში აქვთ, კლასიკურ და თანამედროვე, უცხოურ და ქართულ დრამატურგიაზე შექმნილი სპექტაკლები. თელავის თეატრის დასში ყოველთვის იყვნენ და დღესაც არიან ნიჭიერი, პროფესიონალი მსახიობები.

ვულოცავ თელავის თეატრს 260-ე სეზონის გახსნას და ვუსურვებ, მრავალ საინტერესო, მაღალმხატვრული დონის სპექტაკლების დადგმას.

თეატრმცოდნე, ხელოვნებათმცოდნების დოქტორი, საქართველოს შოთა რუსთველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, გამომცემლობა „კენტავრის“ დირექტორი

მაკა ვასაძე

თელავის თეატრი - 260

თელავის თეატრი, ერთ-ერთი უხუცესი თეატრია, რომლის სცენაზე ბუმბერაზი მსახიობები მოღვაწეობდნენ. ჩემთვის კი იგი მშობლიური თეატრია, სადაც სულ პატარაობიდან დავყავდი მშობლებს და ალბათ მრავალწილად იქ ნანახი სპექტაკლების და იქ მიღებული შთაბეჭდილების შედეგია, რომ ძირითადი სპეციალობის გარდა ბოლოს მაინც თეატრმცოდნეობა ავირჩიე. ეს თეატრი ჩემი ცხოვრების მეგზურად იქცა. ვულოცავ თეატრის მთელ კოლექტივს საიუბილეო თარიღს და იმედს ვიტოვებ, რომ მომავალი სეზონებიც ასეთივე წარმატებული და სინტერესო იყოს ჩვენთვის - მაყურებლისთვის.

თეატრმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

გიორგი ყაჯრიშვილი

თელავის თეატრი კავკასიაში პირველი პროფესიული დრამატული თეატრია, რომლის დასიც მტერთან ბრძოლის ველზე გმირულად დაეცა. ამ მნიშვნელოვან ისტორიას ღირსეულად ატარებდა მაჩაბლის თეატრის დასი საუკუნეების განმავლობაში და ასეა დღესაც. თელავის თეატრში არასდროს ჩატეხილა ხიდი ისტორიასა და თანამედროვეობას შორის. უნდა ვაღიაროთ, რომ გაუმართლა თელავის თეატრს ხელმძღვანელში. ვულოცავ პაატა გულიაშვილს, ამ განსაკუთრებული ქართული თეატრის თავდადებულ ხელმძღვანელს, მის დასს, შემოქმედებით პერსონალს, თუ „სცენის უჩინარ მონაწილეებს“, მაყურებელს საქართველოში პირველი ქართული პროფესიული თეატრის დაარსებიდან 260 წელს. გისურვებთ ულევ მაყურებელს, ენთუზიაზმს და სიკეთეს, წარმატება კი ყოველთვის გექნებათ.

თეატრის მკვლევარი, თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის დამფუძნებელი, ქართული თეატრის ელექტრონული არქივის დირექტორი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ლაშა ჩხარტიშვილი

რა ღირსეულად ხვდება 260 წლის იუბილეს ჩემი საყვარელი თელავის თეატრი, გილოცავთ ჩემო თელაველებო, თქვენ ხომ გაბრიელ მაიორის და მაჩაბელას დასის მემკვიდრენი ხართ, იმ დიდი გზის გამგრძელებელნი რომელიც ჩენმა დიდმა მეფე ერეკლემ დაიწყო. დღეს რომ თეატრი ასეთი აქტიური და წარმატებულია. ეს ჩემი პაატა გულიაშვილის დამსახურებაა რომელიც ასე ღირსეულად უძღვება ამ მეტად რთულსა და ხშირ შემთხვევაში დაუფასებელ საქმეს. გილოცავთ, გილოცავთ, გილოცავთ, „ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ“!

საქართველოს თეატრის კრიტიკოსთა კავშირის პრეზიდენტი, წითელი ჯვრის კეთილი ნების ელჩი (ჟენევა), თეატრმცოდნე

თქვენი ნიკოლოზ წულუკიძე

თელავის თეატრი - 260

როდესაც თეატრს 260 წელი უსრულდება ეს არა მხოლოდ კულტურული, არამედ ისტორიული მოვლენაც არის. მით უმეტეს, როდესაც თელავის თეატრზეა საუბარი, რომლის ფესვებიც ერეკლეს და მის ეპოქას უკავშირდება. დღესაც არ წყდება დავა-კამათი – სწორი ნაბიჯი გადადგა თუ არა მეფემ, როდესაც ისლამური ქვეყნების ალყაში მყოფმა,ქრისტიანულ რუსეთთან თანამშრომლობაზე აიღო გეზი. ისტორია შედეგით იზომება და არა სიყვარულ-სიძულვილით. დღევანდელობაა მტკივნეული კითხვის პასუხი – საქართველო ოცდაათ წელზე მეტია საერთაშორისო თანამეგობრობის ღირსეული წევრია! დამოუკიდებლობის გრძელ და ხიფათიან გზაზე ქვეყანასთან ერთად თელავის თეატრმაც იბრძოლა, თანაც ისე, რომ, მიუხედავად მრავალი გაჭირვებისა, სცენას არც თავდადება მოაკლო და არც ოსტატობა. ანდა სხვაგვარად როგორ იქნებოდა, როცა მის შემოქმედებას მუდამ თან ახლავს კრწანისის ველზე სამშობლოს თავშეწირული დავით მაჩაბლის, გაბრიელ მაიორის და სხვათა წმინდა სულები.

ნათქვამია – ომი დამთავრდა, გეშინოდეთ მშვიდობისო. მეცხრამეტე საუკუნემ დიდი განსაცდელის წინაშე დააყენა უძველესი ქვეყანა, რომელიც რუსეთმა ორ გუბერნიად აქცია და ყოველივე ეროვნულთან ბრძოლა წინსვლად მონათლა. თერგდალეულთა დიდმა გუნდმა და საქართველოს უგვირგვინო მეფედ შერაცხულმა ილია ჭავჭავაძემ სწრაფად აუღეს ალღო ვითარებას და ერის აღორძინება-წინსვლის გზად ენა-მამული-სარწმუნოებასთან ერთად თეატრიც მიიჩნიეს. სწორედ სცენიდან ისმოდა თავანკარა ქართული სიტყვა და იგივე სიტყვა ახსენებდა მაყურებელს ღირსეულ წარსულს და ნათელი მომავლისკენ უკვალავდა გზას. ამ საქმის ერთ-ერთი მებაირახტრე თელავის თეატრიც იყო, რომლის მსახურებსაც კიდევაც შიოდათ და კიდევაც სციოდათ, მაგრამ მოვალეობა და სცენისადმი სიყვარული სძლევდა ყველა გაჭირვებას და შედეგად დამსახურებულ გამარჯვებას იმკიდნენ კიდეც. უძველეს სცენას ყველა დროში არაერთი თვალსაჩინო მსახიობი ამშვენებდა. ტრადიცია გრძელდება და ძლიერდება. ამის ნათელი მაგალითია საზღვარგარეთული გასტროლების უპირობო წარმატება, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ თეატრალური დასი ქალაქის განუყრელი ნაწილი და ბურჯია, მისი წევრები კი გამორჩეული მოქალაქეები.

მსურს, ეს მცირე წერილი ერთი მოგონებით დავასრულო. გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებია. ის დრო, როცა სხვადასხვა შეიარაღებული ჯგუფებით დათრგუნული ქალაქი შუადღისთვის ცარიელდებოდა. სანაპიროს აღმართზე ამომავალი იმ დროისთვის ჩვეულ სცენას შევესწარი – ხევსგაღმა რამდენიმე ბიჭი, ერთს, მარტოდმყოფს, როგორც ახლა იტყვიან აბულინგებდა ანუ ქართულად, რომ ითქვას, ამცირებდა (ან იქნებ აყაჩაღებდა კიდეც!). ხელისშემშლელიც არავინ ჩანდა, ყველა ჩქარი ნაბიჯით თავისი გზით მიდი-მოდიოდა და მხოლოდ ერთმა გაიმრუდა სავალი. არ ვიცი რა უთხრა ახალგაზრდა კაცმა მოძალადეებს, მაგრამ ვითარება განიმუხტა და ჯგუფიც დაიშალა. გამშველებელი და სამართლის დამდგენი სულ ახლახან გარდაცვლილი ელდარ თავდიდიშვილი იყო. კაცმა რომ თქვას, ყოველივე ისე მოხდა, როგორც უნდა მომხდარიყო – რაინდული სულის მატარებელი თეატრის მსახიობი უსამართლობას გვერდს ვერ აუვლიდა!

თელავის საპატიო მოქალაქე, ჟურნალისტი

ზურაბ არსენიშვილი

თეატრის მთავარი რეჟისორი

გიორგი ჩაკვეტაძე თეატრის მთავარი რეჟისორი 1988 წლიდან.
1987 წ. თ. ჭილაძე „ჩიტების ბაზარი“ (რეჟისორი გ. ჩაკვეტაძე) დასახელდა საუკეთესო სპექტაკლად.
1987 წ. ლ. კოტეტიშვილი „ბაალ გადამარჩინე“ (რეჟისორი გ. ჩაკვეტაძე) დასახელდა საუკეთესო სპექტაკლად.
1989 წ. თ. ჭილაძის სპექტაკლ „მშვიდობით ლომებო“ რეჟისორ გ. ჩაკვეტაძეს რუსთავის საერთაშორისო ფესტივალზე ,,ოქროს ნიღაბი“ მიენიჭა მეორე ადგილი.
1990 წ. მიენიჭა სახელმწიფო პრემია თ. ჭილაძის პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლისთვის „ნახვის დღე“.
2001 წ. სპექტაკლისთვის თ. ჭილაძის „მშვიდობით, ლომებო!“ რუსთავის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე „ოქროს ნიღაბი“ მიენიჭა მეორე ადგილი.
2004-2005 წლების სეზონზე გ. ჩაკვეტაძე დასახელდა წლის საუკეთესო რეჟისორად;
2012 წ. დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.
2014 წ. მიენიჭა საუკეთესო რეჟისორის წოდება;
2019 წ. 14 იანვარს საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ გადაეცა დოდო ალექსიძის და ავთანდილ გულიაშვილის სახელობის ჯილდოები.
1988-1996 წწ. თელავის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი; 2012 წლიდან დღემდე მთავარი რეჟისორი.

* * *

პატარა კახის მიერ დაარსებული თელავის თეატრი 260 წლისაა!..

დიდად სასიამოვნო და საამაყოა ის გარემოებაც, რომ თელავის თეატრი არა მარტო ასაკოვანი, არამედ მთელი ამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ქართული სულიერების, კულტურისა და მაღალი შემოქმედებითი დონის მატარებელია დღესაც.

მეამაყება, რომ ჩემი იოტის ოდენა, მოკრძალებული წვლილი მაქვს შეტანილი მის განვითარებაში..

გულწრფელად ვულოცავ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, ქართული თეატრის მესვეურთ და თეატრის მოყვარეს!

ვულოცავ დასს, მის ხელმძღვანელობას (პაატა გულიაშვილს), ვუსურვებ წინსვლას და ულევ წარმატებას შემოქმედებით ცხოვრებაში!

ღმერთმა გაგახაროთ!!!

გოგი ჩაკვეტაძე

თელავის თეატრის დასი დღეს

ეთერ ბაბილაშვილი - თელავის თეატრის მსახიობი 1963 წლიდან
წლიდან.
2016 წელს გადაეცა თეატრალური საზოგადოების პრემია მეორეხარისხოვანი ქალის როლის ბრიგიტას განხორციელებისთვის სპექტაკლში ,,ვინ გატეხა ქოთანი?!“ (რეჟისორი ნ. ჰაინე-შველიძე, დადგმის ხელძღვანელი რობერტ სტურუა). 2019 წელს თეატრალურმა საზოგადოებამ გადასცა სესილია თაყაიშვილის ჯილდო.
2020 წელს თეატრის წინ გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი.

კარლო ქართველიშვილი - თელავის თეატრის მსახიობი 1970 წლიდან.
2019 წ. საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ გადასცა შოთა ბეჟანიშვილის სახელობის ჯილდო.
2020 წ. გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი.

ნაზი არავიაშვილი - თელავის თეატრის მსახიობი 1962 წლიდან.
1986 წ. მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება, მინიჭებული აქვს პრემია წლის საუკეთესო მთავარი როლის შესრულებისთვის გ. ბეროშვილი ,,ტირიფები მტკვრის პირას“ (რეჟ. გ.მაცხონაშვილი).
2019 წ. საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ გადასცა ეკატერინე ვერულაშვილის სახელობის ჯილდო.

ვენერა ფეიქრიშვილი - თელავის თეატრის მსახიობი 1968 წლიდან.
1986 წ. მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება.
2003 წ. დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.
2014 წ. თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის მიერ დაჯილდოვდა სპეციალური პრემიით.
2018 წ. საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ მიენიჭა ამაგდარის წოდება.
2018 წ. დაჯილდოვდა ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის პრემიით.
2018 წ. თეატრის წინ გაიხსანა მისი სახელობის ვარსკვლავი.
წარდგენილია ნომიაციაზე „პერსონა 2020“.

თელავის თეატრი - 260



ორბი აღნიაშვილი - თელავის თეატრის მსახიობი 1961 წლიდან.
1986 წ. მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება.
2013 წ. თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით გადაეცა მადლობის სიგელი და საგანგებო პრემია თელავის თეატრის ისტორიაში შეტანილი უდიდესი ღვაწლისთვის.
2019 წ. საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ მიანიჭა ,,ამაგდარის" წოდება.

ვანო იანტბელიძე - თელავის თეატრის მსახიობი 1975 წლიდან.
1981 წ. მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება,
1987 წ. ალალეს როლის შესრულებისთვის მიენიჭა წლის საუკეთესო მსახიობის წოდება სპექტაკლში რ. ინანიშვილის „ალალე" (რეჟისორი ა. ქანთარია).
1990 წ. ვასიკოს როლის შესრულებისთვის მიენიჭა სახელმწიფო პრემია სპექტაკლში „ნახვის დღე" (რეჟისორი გ. ჩაკვეტაძე).
1994 წ. წლის საუკეთოსო მსახობი სპექტაკლში „ჰენრიც IV" (რეჟისორი გ. ჩაკვეტაძე) ჰენრიხ მეოთხის როლის შესრულებისთვის.
2004 წ. მიიღო პრემია „ალალე", 2005 წ. მიენიჭა კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემია, 2012 წ. გადაეცა ღირსების ორდენი, 2014 წ. მიენიჭა საპატიო თელაველის წოდება.
2015 წ. თეატრალური პრემია „დურუჯი",
2016 წ. წლის საუკეთესო მსახიობი სპექტაკლში „ვინ გატეხა ქოთანი" მოსამართლე ადამის როლის შესრულებისთვის (რეჟისორები: რ. სტურუა, ნ. ჰაინე-შველიძე).
2019 წ. მიენიჭა აკაკი ხორავას სახელობის პრემია, ამავე წელს გადაეცა პლატონ ახვლედიანისა და ავთანდილ გულიაშვილის სახელობის ჯილდოები.
2019 წ. მიენიჭა წოდება „ხელოვნების ქურუმი", ამავე წელს თეატრის წინ გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი.

თემურ ხუნაშვილი - თელავის თეატრის მსახიობი 1970 წლიდან.
1986 წ. მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება
1989 წ. ჭილაძის პიესა ,,ნახვის დღე" (რეჟისორი გ.ჩაკვეტაძე) ვასოს როლის შესრულებისთვის მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია.
1999 წ. დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.
2018 წ. გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი, ამავე წელს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ გადასცა გიორგი შავგულიძის სახელობის ჯილდო.
2019 წ. საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ მიანიჭა წოდება ,,ამაგდარი".
30 წელია ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას მეტყველების კულტურის განხრით.

იზა შუშანაშვილი - თელავის თეატრის მსახიობი 1973 წლიდან.
2019 წ. საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ მიანიჭა ,,ამაგდარის“ წოდება.

ნინო კურტანიძე - თელავის თეატრის მსახიობი 1981 წლიდან.
1989 წ. მიენიჭა წლის საუკეთესო ქალის წოდება იზას როლის შესრულებისთვის თ. ჭილაძის „ნახვის დღეში“ (რეჟისორი გ. ჩაკვეტაძე)
2003 წ. მიენიჭა წლის საუკეთესო მსახიობი ქალის წოდება გოგოლას როლის შესრულებისთვის თ. ჭილაძის „მშვიდობით, ლომებო!“ (რეჟისორი გ. ჩაკვეტაძე)
2010 წ. დაჯილდოვდა ღირსების მედლით.
2010 წ. დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.
2019 წ. საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ გადასცა სესილია თაყაიშვილის სახელობის ჯილდო.
2019 წ. გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი და მიენიჭა ამაგდარის წოდება.

ნონა ხუმარაშვილი - თელავის თეატრის მსახიობი 1984 წლიდან.
1989 წ. გადაეცა მადლობის სიგელი ახალგაზრდა მსახიობს მოხუცის როლის შესანიშნავი შესრულებისთვის სპექტაკლში ,,ალალე“.
2013 წ. თელავის მუნიციპალიტეტისა და კულტურის სამსახურის მიერ 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით გადაეცა მადლობის სიგელი თეატრის სცენაზე განხორციელებული მრავალფეროვანი და საინტერესო შემოქმედებითი საქმიანობისათვის.
2019 წ. საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ გადასცა თინა ბურბუთაშვილის სახელობის ჯილდო.

თელავის თეატრი - 260

ზურაბ ლომიძე - თელავის თეატრის მსახიობი 1981 წლიდან.
2003 წ. მიენიჭა წლის საუკეთესო მამაკაცი მსახიობის პრემია ნიკოს როლის შესრულებისთვის (თამაზ ჭილაძის "მშვიდობით ლომებო", რეჟისორი გოგი ჩაკვეტაძე).
2003 წ. დაჯილდოვდა ღირსების მედლით, 2012 წ. ღირსების ორდენით.
2016 წ. მიენიჭა წლის საუკეთესო მამაკაცი მსახიობის პრემია ლიხტის როლის შესრულებისთვის (ფ. კლაისტის „ვინ გატეხა ქოთანი?!", რეჟისორი ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე, დადგმის ხელმძღვანელი რობერტ სტურუა)
2019 წ. საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ გადასცა ვახტანგ ჩელთისპირელის სახელობის ჯილდო. ამავე წელს გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი და მიენიჭა წოდება „ამაგდარი".

დავით ნაცვლიშვილი - თელავის თეატრის მსახიობი 1997 წლიდან.
2019 წ. საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ გადასცა შოთა ბეჟანიშვილის სახელობის ჯილდო.

ლექსო ცინკვერაშვილი-რაზმაძე - თელავის თეატრის მსახიობი 2012 წლიდან.
2016 წ. ფოთის რეგიონული თეატრების საერთაშორისო ფესტივალზე გადაეცა რ. ინანიშვილის სახელობის პრემია „ალალე".
2019 წ. საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ გადასცა ლევან ტალაშვილის სახელობის ჯილდო.

გიორგი გელაშვილი - თელავის თეატრის მსახიობი 2008 წლიდან.
2019 წ. საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ გადასცა ავთანდილ გულიაშვილის სახელობის ჯილდო.

ლია ჯალიაშვილი - თელავის თეატრის მსახიობი 1997 წლიდან.
2019 წ. საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ მიანიჭა ,,ამაგდარის“ წოდება.

მანანა აბრამიშვილი - თელავის თეატრის მსახიობი 2013 წლიდან.
2016 წ. საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ მიენიჭა საუკეთესო ახალგაზრდა მსახიობი ქალის პრემია ევას როლის შესრულებისთვის სპექტაკლში ,,ვინ გატეხა ქოთანი?!“ (რეჟისორი ნ. ჰაინე-შველიძე, დადგმის ხელძღვანელი რობერტ სტურუა) .
2019 წ. საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ გადასცა თინა ბურბუთაშვილის სახელობის ჯილდო.

ბექა სონღულაშვილი - თელავის თეატრის მსახიობი 2013 წლიდან.
2017 წ. ფოთის რეგიონული თეატრების საერთაშორისო ფესტივალზე გადაეცა რ. ინანიშვილის სახელობის პრემია „ალალე“.
2019 წ. საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ გადასცა ალექსი კუპატაძის სახელობის ჯილდო.

დათა ხუნაშვილი - თელავის თეატრის მსახიობი 2016 წლიდან.
2020 წ. ფოთის რეგიონული თეატრების საერთაშორისო ფესტივალზე გადაეცა რ. ინანიშვილის სახელობის პრემია „ალალე“.

მარიამ მაისურაძე - თელავის თეატრის მსახიობი 2016 წლიდან.

თელავის თეატრი - 260

ნინო დვალიშვილი - თელავის თეატრის მსახიობი 2016 წლიდან.

ბექა პაპუნაშვილი - თელავის თეატრის მსახიობი 2016 წლიდან.

ლაშა წიფლაშვილი - თელავის თეატრის მსახიობი 2016 წლიდან.

ელიზბარ ნერსესოვი - თელავის თეატრის მსახიობი 2016 წლიდან.

თელავის თეატრის აღიარებული და პოპულარული სპექტაკლები

რ. ინანიშვილი „ჩემი წყალ-ჭალის ხმები“
რეჟისორი – ალექსანდე ქანთარია.

რ. ინანიშვილი „ალალე“
რეჟისორი – ალექსანდე ქანთარია.

თ. ჭილაძე „ნახვის დღე“
რეჟისორი – გოგი ჩაკვეტაძე.

თ. ჭილაძე „მშვიდობით, ლომებო!“
რეჟისორი – გოგი ჩაკვეტაძე.

ჰ. კლაისტი „ვინ გატეხა ქოთანი?!“
რეჟისორები – ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე, რობერტ სტურუა.

ი.ჭავჭავაძე „კაცია-ადამიანი?!“
რეჟისორი – ლევან წულაძე.

თელავის თეატრი - 260

ს. კაკულია „სახურავი“
რეჟისორი – ნანუკა ხუსკივაძე.

ა. ცაგარელი „ხანუმა“; რეჟისორი – კახა გოგიძე.

ლ. თაბუკაშვილი „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“
რეჟისორი – გოგი ჩაკვეტაძე

ფ. ლელუში „სამი ჰალსტუხიანი მამაკაცი და ანგელოზი“
რეჟისორი – ავთანდილ ვარსიმაშვილი

ნ. დუმბაძე
„საბრალდებო დასკვნა“
რეჟისორი – გოგი ჩაკვეტაძე

ლ. თაბუკაშვილი „მერე რა რომ სველია,
სველი იასამანი“
რეჟისორი – ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე

ნ. რამიშვილი „COVID-19 ანუ
შეზღუდვები ქართულად“
რეჟისორი – კახა გოგიძე

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და რუსთაველის თეატრის მსახიობი

პაატა გულიაშვილი - თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი 2012 წლიდან.

2003 წელს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ ბაჩას როლის განსახიერებისთვის თელავის თეატრის სპექტაკლში ,,მერე რა, რომ სველია, სველი იასამანი“ მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებლად დაასახელა.

2003 წელს თელავის თეატრში განხორციელებულ დადგმაში ,,მშვიდობით ლომებო!“ (რეჟისორი გ. ჩაკვეტაძე) რუსთავის თეატრალურ ფესტივალზე ,,ოქროს ნიღაბი“ დაჯილდოვდა პრემიით მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის.

2004 წელს დაჯილდოვდა ღირსების მედლით.

2019 წელს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ გადასცა სანდრო ჟორჟოლიანის და ავთანდილ გულიაშვილის სახელობის ჯილდოები.

2016 წელს არჩეულ იქნა თელავის საპატიო მოქალაქედ.

* * *

თელავის თეატრთან ჩემი ბავშვობა, ყრმობა და დღევანდელობაა დაკავშირებული, რაც საამაყოცაა და დიდი ბედნიერებაც. გაცნობიერებული მაქვს ის პასუხისმგებლობა, რაც მდიდარი ტრადიციების მქონე თელავის თეატრის ხელმძღვანელობასთან არის დაკავშირებული. სხვაგვარად ვერც წარმომიდგენია, რადგან თელავის თეატრი ჩემი ოჯახია. ვცდილობ არ დავიშურო ძალ-ღონე და ადამიანური რესურსი მისი განვითარებისთვის. იმედი მაქვს ჩემს შემდეგაც თელავის თეატრი კვლავაც მოწოდების სიმაღლეზე იდგება, რადგან პირველი პროფესიული დრამატული თეატრი კავკასიაში იმსახურებს ამას.

ვსარგებლობ ამ შესაძლებლობით და მადლობას ვუხდი ყველას მოლოცვისთვის, თბილი სიტყვებისა და კეთილი სურვილებისთვის. მადლობას მოვახსენებ ჩვენს გულშემატკივრებს, თელავის თეატრის დასს, შემოქმედებით და ადმინისტრაციულ პერსონალს და რაც მთავარია, ჩვენს მაყურებელს, რომლისთვისაც ორსაუკუნენახევარზე მეტია არსებობს და მუდამ იარსებებს 260 წლის თელავის თეატრი.

პაატა გულიაშვილი

9 789941 827273